



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 42

2016 წლის 16 მაისი

ხაშური




„ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №142 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობის, მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, კერძოდ ხაშურის ახალგაზრდული საკრებულოს ინიცირებით ევროკავშირის საიმპტიაციო მოდელირების (სამდლიანი კონფერენცია) სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის № 142 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2015 წლის №2122/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №142 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 1500 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 130 100 ლარისა განისაზღვროს 131 600 ლარით და დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ.№15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

## ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტში განთავსებულ მთავარ ბიბლიოთეკას, საბავშვო ბიბლიოთეკას და დაბა სურამში განთავსებულ ბიბლიოთეკას. სამივე დაწესებულება ემსახურება როგორც ადგილობრივ, ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს წიგნით, პრესით და ინტერნეტით.

### პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

## პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 131 600 ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	131 600
მათ შორის შრომის ანაზღაურება	97 716

## პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა;

ბიბლიოთეკით მომსახურეობის გაუმჯობესება;

სერვისით მომსახურეობის გაუმჯობესება.

## შეფასების ინდიკატორი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა;

ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული პროექტებისა და მათში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა.